ცნობის ფურცელი

VI Წ. ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ 1901 ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 16 Ა�პᲠᲘᲚᲘ № 1437

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲠᲘᲡ: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ნქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-ს კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲝᲠᲐ იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 372.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის გედევანიშვილისა.

�მოოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

ᲓᲘᲦᲘᲗ:

ვ. ი. ჯიჯინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ს. გედევანიშვილი — ნერვებისა და ამდობა ელექტრონით — 9—10 ს.

ნ. ს. მულინი — ყურისა, ყელისა და ცხვირი—11—12 საათამდე.

ი. ვ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი 10—2 საათამდე.

ს. ნ. შატილოვი — თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ს. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაანი — 12—1 საათამდე.

ვ. დ. მარკოვიჩი — სიფილისა — 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი — 1½—2 საათამდე.

მ. ბ. ბეზირგანოვი — შინაგანი და ბავშვებისა —2 საათამდე.

ი. ვ. ახალშენიშვილი — კბილის ექიმი 10—12.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი —5—6 საათამდე.

ს. ს. ბელოგოლოვი. — შინაგანი (სტომაქის ავთმოოფობანი) და მიკრო-ქიმიური კვლევანი. — 5—6 საათზე.

გ. მაღალაშვილი — კვირაობით — 10—12 ს. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოდ. ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ბაგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ.)

ანვიზრახეთ **ᲑᲔᲭᲓᲕᲐ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲔᲑᲘᲡᲐ**, რომლებიც სივრცით არ იქნება სამ თაბახზე მეტი და ამიტომ ვთხოვთ პატივცემულ ავტორთ მოგვაწოდონ ყოველნაირი ნაწარმოებნი, როგორც ორიგინალური, აგრეთვე თარგმნი. ავტორთ ჰონორარი მიეცემათ. ადრესი: Квирилы, Типографія М. Гачеиладзе. (ნ. 5—2)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან.

წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობის

საზოგადო კრება

ანიშნულია 21 აპრილს 1901 წ. საღამოს საათზე, ნაცვლად კრებისა, რომელიც არ ესდგა თანხმად ამხანაგობის პირობის მე 18 მუხლისა.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲚᲚᲘ

სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომელთაც ხმა აქვთ თავად-აზნაურობის კრებაზე, მობრძანდნენ 29 აპრილს, შუადღის 12 საათზე, ტფილისის თავად-აზნაურო ბანკის სადგომში, სადაც ამ დღეს დანიშნულია

ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ.

კრების განსახილველი საგნებია: მოხსენება სარევიზიო კომისიისა სათავად-აზნაურო მამულის გამგეობის მოქმედების შესახებ; ახალი დებულება ამ მამულის მართვა-გამგეობისა; არჩევანი მამულის გამგეობის ახალის წევრებისა; ტფილისის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელთათვის დასაბრუნებელ ფულების შესახებ; დეპუტადთა საკრებულოს საქმის წარმოება და მოხელეები; ქართულ დრამატიულ საზოგადოების პრეტენზია სათავად-აზნაურო მამულის გამგეობისადმი. (ნ. 3—2)

მთავრობის განკარგულებანი

ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲡ:

ტფილისის პოლიციის მოხელე კოლეჟსკი სეკრეტარი ბახტაძე დაინიშნა ნოვობოიაზეთის მაზრის მესამე ნაწილის ბოქაულად.

ტფილისის სახაზინო პალატის კონცელარიის მოხელე ვასილი მამაცაშვილი დაინიშნა თელავის ხაზინის მე-2 რიგის ბუღალტრად.

ახალ აქსტაფის საყარაულოს უფროსის თანაშემწეს კალეჟსკი რეგისტრატორს მახვილაძეს ებოძა გუბერნსკი სეკრეტარობა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

✦ რადგანაც შავი-ზღვის პირზე ყველა თავისუფალი მიწები დაურიგდათ გადმოსახლებულთ და მიწად-მოქმედების სამინისტროში კიდევ იგზავნება შუამდგომლობანი ადგილების მისაღებად, სამინისტროს გარდაუწყვეტია გამოგზავნოს კავკასიაში მიწის მზომელნი თავისუფალი ადგილების გასაზომიგნავად.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა ცირკულიარი გუბერნატორებს, რომელშიც წინადადებას აძლევს მათ თვალ-ყური ადევნონ, რომ ქალაქში სხვადა-სხვა დაწესებულებანი, რომელთაც შეუძლიან სარგებლობა მოუტანონ საქალაქო ხაზინას მაგ. ცხენის რკინის გზები, ელექტრონის გზები, საყასბოები, წყლის მილები, და არხების გაკეთების საქმე არ გადაეცეს ხოლმე კონცესიონერებს და შეძლების დაგვარდად თვით ქალაქმა ითავოს მათი მომართვა მოწყობის საქმეო.

✦ კავკასიის მთავარ მართებლის შუამდგომლობით, უმაღლესმა მთავრობამ 40,000 მანეთი გადასდო ახალ-ქალაქის მაზრაში 24 სოფლის მცხოვრებთათვის ყანების საოთესლე პურისა და სხვათა შესაძენად. როგორც თავის დროზე ჩვენს გაზეთში აღნიშნული გვქონდა ამ სოფლების ნათესი ყანები შარშან მთლად ერთიანად გააფუჭა ერთგვარმა მწერმა, ესრედ წოდებულმა გოტენტურმა ბაღლინჯომ. ამ ჟამად მთავრობისაგან გადადებული 40,000 მან. ტფილისის გუბერნატორის ბ-ნ სვეჩინის განკარგულებაში იქმნა გადაცემული.

✦ პარასკევს, 13 აპრილს, ვერაზე წმ. იოანე ხვთის-მეტყველის სახელობაზე ამშენებელ ეკკლესიის სამზრუნველო საბჭომ უღრმესი მადლობა გამოუცხადა კავკასიის მთავარ მართებლის მეუღლეს კნ. მ. თ. გოლიცინისას იმ უხვი შეწირულებისათვის, რომლითაც საშუალება მიეცა სამზრუნველო საბჭოს დაამთავროს ეკკლესიის შენობა.

✦ გუშინ, შუადღის 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, მამა ტყემალაძის მიერ გადახდილ იქმნა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის სიმონ ბეჟანის-ძის ლორთქიფანიძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის ამხანაგები, ქართველი სტუდენტები და ბევრი ტფილისის ქართველ საზოგადოების წარმომადგენელი.

✦ დღეს ქალაქის საბჭოს სხდომაზე განსახილველად დანიშნულია ჩვიდმეტ საქმემდე. საბჭოს სხდომა საღამოს 8 საათზე დაიწყება.

✦ განჯის გუბერნიაში წელს მოსალოდნელ კალიასთან საბრძოლველად საგუბერნიო მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს, გადადებული იქმნეს 16,000 მან.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. 12 აპრილი. 9 აპრილს ქალაქის საბჭომ მიანდო ცალკე კომისიას იმის გამოკვლევა, თუ რამდენად ხელ საურელია ქალაქისათვის მიღებით წყლის გაუვანის შესახებ პირობის შეკვრა (თანახმად ინჟენერის მიხაილოვის წინადადებისა) ამ ამხანაგობასთან, რომელიც ბ. მიხაილოვმა შეადგინა. კომისიამ თავისი აზრი წარუდგინა საბჭოს 12 აპრილს.

რაგორც სჩანს კომისიის სიტუვიერ მოხსენებიდან, ჩვენი საბჭოს იურისტები გაიუვენ ორ ნაწილად. უმეტესობა ამტკიცებდა, რომ ქალაქისათვის საშიში არა არის რა და მას უფრო დამშვიდებით შეუძლია შეეკრას პირობით ახალ ამხანაგობას, ვიდრე მარტო ბ. მიხაილოვს. მცირე ნაწილი იურისტებისა კი იმ აზრის იყო, რომ ამხანაგობის წესდება კანონიერ ნიადაგს და საფუძველს მოკლებულია, მას შეიძლება იურიდიული საზიათიც არ ექმნეს, ასე რომ ქალაქი შეუკრავს პირობას კანონით არა ცნობილ ამხანაგობას, რაც დიდ ზარალში შეიყვანს მას.

«ჩემის აზრით, მოახსენა კრებას ერთმა ხმოსანმა იურისტმა, რომელიც უმეტესობის აზრს ეთანხმებოდა», სულ მეტია იმაზე ბაასი, საუკეთესო კანონების დაცვით შედგენილია ახალი ამხანაგობის წესდება, თუ არა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მიზანი ამხანაგობისა კანონით არ არის აღკრძალული, პირები, რომელნიც ამხანაგობას აგენენ დირსებას არ არიან ახდილნი და კანონი მათ აძლევს უფლებას სხვა და სხვა ხელშეკრულობა იქონიონ ურთიერთშორის და რომ ის მოქმედება, რომელიც წესდებაში არის აღნიშნული კანონით მიღებულია. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ ამხანაგობის წესდებით უფლებები და მოვალეობა, შეადგენენ ამხანაგების ურთიერთშორის განწყობილებას და მას არავითარი გავლენა არ აქვს მესამე პირზე (третье лицо), რადგანაც უკანასკნელს ამხანაგობა ოფველ შემთხვევაში აკმაყოფილებს, როგორც ეს არა ერთხელ გამოსთქვა სენატმა. შესაძლებელია, მხოლოდ აღიძრეს კითხვა იმის შესახებ, თუ რა გვარ ამხანაგობას წარმოადგენს ბ. მიხაილოვისაგან შემდგარი ამხანაგობა, არის ის ამხანაგობა ნდობაზე, სადაც მხოლოდ სრული ამხანაგები აგებენ პასუხს მთელი თავის ოფფა-ცხოვრებით და სხვანი კი შეტანილი წილით, თუ ამხანაგობა სრულია, სადაც ოფველივე წევრი მთელი თავის ქონებით პასუხს აგებს; არც ერთ შემთხვევაში ქალაქს არაფერი არ ეკარგება და მისი მდგომარეობა უგეოესი იქნება, ვიდრე მარტო ბ. მიხაილოვთან, რადგანაც გარანტია და პასუხის მგებელი, გარდა ბ. მიხაილოვისა, სხვებიც იქნებიან. ასეც რომ არ იყოს, ის ოცი ათასი მანეთი, რომელიც ამხანაგობამ უნდა შემოიტანოს, რაგორც წინდი, წარმოადგენს დიდს გარანტიას».

მცირე ნაწილი იურისტებისა ამის წინააღმდეგ ამტკიცებდა ამხანაგობის წესდების უკანონოდ შედგენას, ასე რომ როდესაც სამსჯავროში იქნება საქმე ამხანაგობა, იმათი აზრით, ჩათვლება არა არსებულად და ქალაქის ოფველივე ხარჯა-ძიება ამაო იქნება. კანონის დარღვევა წესდებაში ამ მცირე ნაწილის აზრით არის ის, რომ წევრები ბატონი მიხაილოვის ამხანაგობისა წესდების ძალით განაგებენ საქმეს და გამგეობაშიაც მონაწილეობას დებულობენ, როგორც სრული ამხანაგები. გარდაამისა სხვა მუხლებიც, წესდებისა კანონის დაუცვლელად არიან შედგენილნი, ასე რომ ამ ახალ ამხანაგობას არც ერთი კანონებში აღნიშნულ ამხანაგობის ხასიათი არ აქვს. ამით აიხსნება, რომ იურისტების კომისია ვერ შეთანხმდა და გადაწყვეტილი ვერა სთქვა რა. თვით ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მომავალში დაუსრულებელი დავასაჩიერები იქნება.

სამ საათზე მეტი გასტანა ამ მეტად საინტერესო სპეციალურმა იურიდიულმა მსჯელობამ ქუთაისის საბჭოში და ბოლოს კითხვა გადაწყდა გენჭით. 21 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 14-ს კრებამ მიიღო ბ-ნი მიხაილოვის წინადადება, და დაავალა ქალაქის თავის მოადგილეს ახალ ამხანაგობასთან პირობის შეკვრა.

ამ გვარად სასურველი ბოლო მოეღო საქმეს და ამ ცოტა ხანში დაიწყებს მუშაობა. ორის კვირის განმავლობაში ახალი ამხანაგობა შეუკრავს ქალაქს პირობას და წარმოუდგენს ფულს, რომელიც იქნება გარანტია პირობის კარგად შესრულებისა. შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება სუფველა საჭირო ნებები და დაიწყება ჩვენთვის მეტად საჭირო და საჭირო საქმე.

დ. ს. ლორთქიფანიძემ გამოაცხადა თანხმობა თავის კანდიდატობაზე ქალაქის თავის ადგილზე. დ. მ.

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲐᲢᲝᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ თ. ნ. ᲗᲐᲕᲓᲒᲘᲠᲘᲫᲘᲡ ᲓᲐ ბ. ნ ᲔᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲫᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

მაისში 1900 წ. თ. ნ. თავდგირიძის და ბ. ნ. ჟორდანიას შორის ადიძრა ქართულ გაზეთებში ჭიდილი. რადგანაც ამ ჭიდილიკამ არ დააკმაყოფილა არც ერთი მოწინააღმდეგე მხარე, ნ. თავდგირიძემ მოითხოვა სამედიატორო სასმართალი («ივერია» № 123) და მედიატორებად ბ.ბ. იაკობ ლულაძე და ვარლამ ჯიჯინაძე დასასახელა. ბ. ჟორდანია დათანხმდა და თავის ბრივ დასასახელა მედიატორებად ბ.ბ. ივანე ჯაბადარი და ალექსანდრე შატილოვი. თავმჯდომარედ მედიატორეებმა მოიწვიეს ბ. სვიმონ ვახვახიშვილი.

საქმის გარემოება შემდეგია:

1900 წლის 8 მაისს ქუთაისის სათავადაზნაურო კრებაზე ს. ხუნდაძის წინადადებით იყო საკა თავად-აზნაურთა ცენზის შემცირების შესახებ. ამ საკნის გამო ბ თავდგირიძემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც «ცნობის ფურცლის» 1124 №-ში ასეა გადმოცემული:

„უნდა ვითხოვოთ—თავად-აზნაურთა მაზრის კრებას თვით მიეცეს უფლება თავისი კეთილი წევრები თავისი არჩევნებით სცნოს ღირსად გუბერნიის კრებაში მონაწილების მიღებისა“.

«კვალმა» 21 №-ში დაბეჭდა წერილი, რომლისათვისაც პასუხის გება იკისრა ბ. ჟორდანიამ და ამ წერილში ბ. თავდგირიძის სიტყვიდან შემდეგი დასკვნა გამოიყვანა:

„ხოლო თ. ნ. თავდგირიძემ სრულებით საჭიროდ არა სცნო ცენზის შემცირება, მან სთქვა“ (მოყვანილია მთლად ზემოხსენებული ბ. თავდგირიძის სიტყვა), „ესეიგი ცენზი—განაგრძებს „კვალში“

მოთავსებულის წერილის ავტორი—როგორც არის, ისე იყოს, ხოლო ახალ წევრების მიღება ისევ ჩვენ მოგვანდევითო! აი ასე შეხდეს ამ კითხვას ორმა განათლებულმა ახალგაზდა თავადმა (ბ. ბ. თავდგირიძემ და კ. აბაშიძემ), რომელნიც არა ერთხელ გვეფიცებოდნენ, რომ „კვალს“ არა სჯერა, თვარა ჩვენ დიდი დემოკრატები ვართო! ამიერიდან მაინც ყველა გაიგებს იმას, თუ როგორ დაამდაბლეს ამ ეაუბატონებმა განათლება და მის ალაგას სიმდიდრე აამაღლეს“.

ბ. თავდგირიძემ ამ სიტყვაში დაინახა თავის აზრის განძრახ დამახინჯება იმ მიზნით, რომ წერილის ავტორმა გაუტეხოს მას სახელი ქართველ საზოგადოებაში.

სამედიატორო სამართალს მინდობილი ჭქონდა გასარჩევად შემდეგი კითხვები:

1) ბ. თავდგირიძის წინადადება: «ჭქონდა თუ არა ბ. ნოე ჟორდანიას, როგორც «კვალის» ფაქტიურ რედაქტორს, ზნეობრივი უფლება იმ სასჯელი, გამოურკვეველ და მცირე მასალის შემწეობით, რომლებიც მას მოეპოვებოდა, ისე გარდწყვეტით, დაბეჯითებით ელაპარაკა ჩემ საზოგადო მოქმედების მიმართულების ხასიათის შესახებ, როგორც მოხსენებული იყო «კვალის» მე-21, 31, 34, 41 ნომრებში» («ივერია № 123). ბ. ჟორდანიამ თავის მედიატორებთან მიმართულ წერილში დაუენა გასარკვევად შემდეგი კითხვები: 2) «რამდენად მართალია ბ. თავდგირიძის ბრალდება იმის შესახებ, რომ ვითომ «კვალის» მე-21 №-ში მოთავსებული სრულიად გადამახინჯებული ამბავი ქუთაისის საზაზაურო საქმეების შესახებ ბ. თავდგირიძეზე, რომ მას ასეთი არ უთქვამს.რა, რასაც ჩვეულებრივ ნაძალადევ საშუალებით ბრალად გვდებს «კვალის» რედაქცია («ივერია № 115)»; 3) « რამდენად მართალია «კვალის» ბრალდება, რასაც ბ. თავდგირიძემ «ხრიკები» უწოდა (№ 123) იმის შესახებ, რომ მან ერთი ციტატა გამოიგონა, ხოლო მეორის ნახევარი, წორედ ის, რომელმაც დავა გამოიწვია (ბ. კ. აბაშიძის სიტყვები), გადამახინჯებულად მოიყვანა».

სამედიატორო სამართალს ჭქონდა ამ საგანზე ტფილისში სჯა თავის სხომებზე 1900 წ. 20 და 27 ივნისს, 1901 წ. 13 და 20 იანვარს, 26 მარტს და 10 აპრილს, სადაც განიხილა ქუთაისის სათავად-აზნაურო კრების ანგარიში, რომელიც დაბეჭდილია «ცნობის ფურცელში» 1900 წელს 1123 და 1124 ნომრებში, აგრეთვე «კვალის» 21 და 23 ნომერში და «ივერიის» 115 და 123 ნომერში დაბეჭდილი წერილები და ერთხმად გადაწყვიტა:

1) „კვალის“ 21 ნომრის წერილში, რომელიც დაფუძნებულია ზემოხსენებულ „ცნ. ფურცელში“ დაბეჭდილ ანგარიშზე, არავითარი ფაქტიური მასალის გადამახინჯება არ არის. 2 მეორეს მხრით, ბ. თავდგირიძის პასუხში, რომელიც დაბეჭდილია „ივერიაში“ (№ 115) „ცნობის ფურცლიდან“ ციტატები სწორედ არ არის მოყვანილი; მაგრამ ეს შეცდომები უნდა ჩაითვალოს უფრო კორექტიულ შეცდომებად. 3) თუმცა ცხადათ არა სჩანს „ცნობის ფურცლის“ ანგარიშიდან, რაში მდგომარეობს ბ. თავდგირიძის პროექტი, მაგრამ ის დასკვნა, რომელიც დაადგინა „კვალის“ 21 №-ში მოთავსებულ წერილის ავტორმა ამ პროექტის შესახებ, ვითომ ბ. თავდგირიძემ ილაპარაკა კრებაზე ცენზის შემცირების წინააღმდეგ, არ შეესაბამება არც მთლად მის ხელში ყოფილს მასალას საზოგადოდ, არც თვით ბ. თავდგირიძის პროექტს კერძოდ.

ეს სამედიატორო სამართლის გადაწყვეტილება დაიბეჭდოს გაზეთ „ივერიაში“, „კვალში“ და „ცნობის ფურცელში“.

სამედიატორო სამართლის თავმჯდომარე
ს. ვახვახიშვილი.

მედიატორები: ივ. ჯაბადარი, ივან. დულაძე, ალ. შატილოვი და ვარ. ჭიჭინაძე.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

14 აპრილი.

პეტერბურგი. 14 აპრილს, ნაშუადღევის 6 საათზე, საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი გაემგზავრა სამზღვარ გარეთ.

ვარშავი. „ნავთი“-ს საზოგადოების საწყობებში აღმოუჩენიათ 40,000 ფუთის ნავთის დანაკლისი; 60,000 მანეთად ღირებულისა, ხოლო კასიდამ გატანილია 100,000 მანეთი. დირექტორი რიხტერი გაიპარა.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან, რომ ინგლისის ჯარის სხვა-დასხვა ნაწილები შემდეგს იტყობინებიან შესახებ ბურების დანაკლისისა: 12 მოკლულია, 20 დაჭრილი, 47 დატყვევებულია და 52 თავისით დანებდნენ. 20 ავსტრალიელმა ბუშმენმა დაატყვევეს გუშინ კომისიედრიფისა ღმოსავლეთ-საძხრეთით, მდინარე ოლიფანტთან, კომანდირი ფრედერი და მასთან 41 ბური, ერთი ზარბაზანი მაქსიმისა, ცხენები, ჯორები და ურმები მრავალის საომარის სურსათით. ბუშმენები გათენებისას შემოეხვივნენ ბურებს და სულ ახლოდან დაუშინეს თოფები; ბურები დაჰნებდნენ. კიტჩენერის მეორე ტელეგრამა იტყობინება რომ, გარდა იმ დანაკლისისა ბურების მხრივ, რომლის შესახებ მას ნაცნობები ჰქონდა, მოკლული იყო კიდევ 4 ბური, 180 დატყვევებულია, აღებულია 3000 თავი მსხვილ ფეხი საქონლისა, 6000 ცხვარი მრავალი ურემი.

ვაშინგტონი. „როგორც იტყობინებიან, ქვრივ დედოფლისაგან დანიშნული საერო მმართველობა სახელმწიფო საქმეებისა, რომლის შესახებ იუწყება პეკინში ამერიკის საელჩოს მდივანი, და რომელშიაც შევლენ კაბინეტის სამი წევრი, რომელნიც ეხლა დედოფალთან არიან სიანფუში, და აგრეთვე პრინცები ცინი და კუნი და ლიხუნგჩანგი, გამგეობის უფლება ექნება მხოლოდ იმ დრომდის, ვიდრე მოკავშირეთა ჯარები არ გავლენ პეკინიდან. მის შემდეგ დედოფალი თვით შეუდგება სახელმწიფოს მართვას“.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. რედმონდი იხსენიებს იმ გარემოებას, რომ ჩინეთმა უარი განაცხადა ხელი მოეწერა მანჯურიის შეთანხმებაზე, და კითხულობს, წარუგზავნა თუ არა ბრიტანიის მთავრობამ რუსეთის წარდგენილება მანჯურიის დაჭერის შესახებო. კრანბორნი უპასუხებს, რომ ასეთი წარდგენილება არ ყოფილაო. რედმონდი ეკითხება შემდეგ, შეუძლიან, თუ არა მმართველობას სთქვას, როდის იქნება იგვიპტე ნამდვილად გათავისუფლებულიაო. კრანბორნი უპასუხებს: „არა“ (სიცილია).

ვენა. რუსეთის ელჩმა მიიღო თავის მფარველობის ქვეშ ავსტრო-რუსეთის ვენის დამხმარებელი საზოგადოება, რომლის პირველი სხდომაც 17-ს აპრილს იქნება.

პეკინი. ერთ-ერთი მონაწილე გერმანიის ექსპედიციებისა ხუჩოუში, იმ მთის ძირებში, რომელიც ჩეილისა და შანსის პროვინციებსა ჰსაზღვრავს, იუწყება, რომ ექსპედიციის იქ მისვლისათანავე გამოირკვა, რომ ჩინეთის ჯარები დიდის ვალავნის იქით გაასულიყვენენ; ამიტომ სერიოზული ოპერაციები მოსალოდნელი არ არის. გერმანელები მთებში ოთხს ჯგუფად ჰმოქმედობენ; ერთმა ჯგუფმა სასწრაფო იერიში მიიტანა კავკინის გასავალზე იმ აზრით, რომ უკან დახეულის ჩინელებისათვის გზა შეეკრა, მაგრამ უკვე გვიან იყო, რადგანაც ეს გასავალი ჩინელებს ერთის დღით წინ გაეარათ. გენერალი ლესსელი აპირებდა ამ დღეებში დიდს გალავანთან მიჭრას, მაგრამ 6 აპრილს უკან დაბრუნდა.

ნიუ-იორკი. ამერიკის ელჩმა კონჯერმა გაბოსთქვა აზრით რომ ჩინეთს ძალიან არ გაუჭირდება 60.000.000 დოლლარის გადახდაო. გარეშე საქმეთა სამინისტროში ისევ იმას ამტკიცებენ, რომ ჯარები გერმანიისა და სხვა მოკავშირე სახელმწიფოებისა სისტემატიურის სისასტიკით იქცეოდნენ ოფიცრების ბრძანებით ან თუ არა იმათის თანხმობით მაინცაო. კონჯერი კი ამბობს, რომ ოფიცრები სრულებით არავის არ ახალისებდნენ ასეთის მოქმედებისათვის და რომ არც ერთიან თითქმის არც ერთი ამგვარი გამოქვეყნებული ისტორია მართალი არ არისო.

ალჟირი. ბენიდენსსერებმა მილავას მახლობლად ამბოხება მოახდინეს და გაძარცვეს სოფელი მარგერიტტი. ბლიდის გარნიზონმა მეამბოხეები უკუ აქცია და სოფელი მარგერიტტი დაიჭირა. თავს-დასხმის ერთადერთი მიზანი გაძარცვა იყო. როგორც იუწყებიან ბენიდენასერს მოუკლავთ, დაუჭრიათ და ტყვედ წაუყვანიათ საერთოდ 300-მდე სოფლის მცხოვრები და დაუხვრეტიათ ტყვიით მოხელეები, ჟანდარმები და ტყის მცველები.

როგორც იუწყებიან, ბენიდენასტებს დაუხვრეტიათ ტყვიით 50 ტყვედ წაყვანილი კოლონისტი. ალაფრუნის მახლობლად შეუნიშნავთ დიდი შეიარაღებული ბრბოები.

პეკინი. უმთავრესმა სადგომმა მიიღო ცნობა, რომ გერმანიის ჯარები კალანამდე მივიდნენ; ამ მხარეს სრული მშვიდობიანობაა. გარნიზონებში მხოლოდ ჩინეთის პოლიცია სდგას და სხვა არავითარი ჯარი არ არის იქ.

პენინი. „დიდს მუშტის“ ერთი, დაახლოვებით ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი სდგას პაოტინ-ფუს სამხრეთით, ოცის მილის მანძილზე. მეამბოხეებმა გაძარცვეს წარსულს კვირას სამი სოფელი და ქრისტიანებს ამოხოცვას ემუქროდნენ. „დიდი მუშტის“ სხვა ბრბოებიც უწესოებას ახდენენ; მათმა წინამძღოლმა განიძრახა დაეცეს ქალაქს მანგტუჩენს, რომელშიაც იმყოფება 20 გერმანელის პოსტი. პაოტინფუში, რომელიც უჯაროდ დარჩა, აშკარადა სჩანს იმის ნიშნები, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა საეჭვო ელემენტები აფრთოვანებული არიან. გამოცდილი მოთვალყურენი ჰფიქრობენ, რომ ჩინელებს უფრო სახიფათო ნაწილი უცხოელთა ჯარების წასვლას ელის და მათის წასვლის შემდეგ კი აქაურის ქრისტიანების ამოჟლეტას დაიწყებსო.

ალჟირი. მარგერიტტიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ საღამოს 11 საათზე წესიერება აღდგენილ იქმნა. მოკლულია ერთი მინდვრის მცველი, ერთი ჯარის კაცი, ორი კოლონისტი, ორი ისპანიელი, ერთი იტალიელი; ორი ოფიცერი და რამდენიმე ჯანდარმი დაჭრილია; მოკლულია სამი ადგილობრივი მცხოვრები. მეზობლად მდებარე სოფლების დასაფარავად საშუალებაა მიღებული.

პეტერბურგი. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი 14 აპრილს ხელმწიფე დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა, გატჩინოში მიიღო.

16 აპრილი

პეტერბურგი. 15 აპრილს ხელმწიფე მემკვიდრემ კეთილ ინება და მიიღო გატჩინოს სასახლეში დელკასსე, რომელმაც გადასცა მათ იმპერატორებითს უმაღლესობას საპატიო ლეგიონის ორდენი.

უმთავრესის შტაბის უფროსი გენერალ ლეიტენანტი სუხოტინი დაინიშნა ომსკის გენერალ გუბერნატორად, ციმბირის სამხედრო ოლქის უფროსად და ატამანად ციმბირის ყაზახთა ჯარისა.

სოფია. აქაურმა მაკედონელი მსროლელთა საზოგადოებამ, აფიშების საშუალებით მიიწვია თვისი წევრნი, რათა მონაწილეობა მიიღონ სახვალიოდ განხრახულ სამხედრო ვარჯიშობაში. ეს მოპატიჟება გაკვირვებას იწვევს, რადგანაც ასეთი ვარჯიშობა აკრძალულია.

ბერლინი. ვალდერზეე პეკინიდან იტყობინება, რომ, „დიდ კედელთან“ ათი კილომეტრის სიშორეზე ხეიტანგუანის სამხრეთით, ათ აპრილს მოხდა მცირე ბრძოლა, გოფმეისტრის კოლონნა, ორი როტა სამთო არტილერიით, თავს დაეცა მტერს და აიძულა დიდი ზარალის მიცემით შანსში დაბრუნებულიყო. ჩვენის მხრით ოთხი დაჭრილია. დავლად წამოიღეს ოთხ დროშა, ოთხი ძველის სისტემის ზარბაზანი.

გენერალმა ვუარონმა ცნობა გამოგზავნა, რომ წავა შდინიდან და დაბრუნდება პაოტინფუში. მისი შორეული სადგომი სანხე იქნება. მას ანსულონინ გასავალი კიდევ უჭირავს. იმ ამბავის გამო, რომ ავადმყოფობა გავრცელდა ხეიკვსა და მატსუში და ორ ამ ადგილის შორის თავს დაეცნენ ჯონსაო, პოდპოლკოვნიკმა არნშტადტი გაგზავნა იქ მცირე რაზმით.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლების

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთხელ—ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის სადამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის სადამოს 8 ს. 12 წ. (8 ს. 10 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის დამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 1 წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 საათ. 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის სადამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის სადამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის სადამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის სადამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 18 ამ აპრილს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, გამგეობის სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით ალექსანდრეს ბაღში ადგილი ზომით 30 ოთხკუთხი საჟენი ასაშენებლად პავილიონისა, რომელშიაც უნდა იყიდებოდეს რძე, ჩაი, ყავა, შოკოლადი და სხვა ამგვარი.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს ბე ასი მანეთი.

დაწვრილებითი პირობები მსურველთ შეუძლიათ განიხილონ გამგეობაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (ნ. 3—2

თხზულება
თ. რ. ერისთავისა
I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Апрѣля 1901 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27.